ბრძანება:**ბ14. 14241658**
თარიღი:**13/06/2024**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის პროფესიულ საჯარო მოხელეთა ვაკანტურ თანამდებობებზე ღია, დახურული და შიდა კონკურსის გამოცხადებისა და ჩატარების პირობების შესახებ

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე, 39-ე, მე-40 და 41-ე მუხლებისა და „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარებების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის №204 დადგენილების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. გამოცხადდეს ღია კონკურსი ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის პროფესიულ საჯარო მოხელეთა შემდეგ ვაკანტურ თანამდებობებზე:

№	საკონკურსო თანამდებობა	რაოდენობა
1	ადმინისტრაციის სასამართლოსთან ურთიერთობის და ადმინისტრაციული დავების განყოფილების მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - იურისტი	1
2	ადმინისტრაციის მოქალაქეთა საკითხების განყოფილების მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1
3	მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის საინვესტიციო და საგრანტო პროგრამების მართვის განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1
4	მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის საინვესტიციო და საგრანტო პროგრამების მართვის განყოფილების მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1
5	მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის საერთაშორისო ურთიერთობის და პროტოკოლის განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1
6	ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის ქალაქგეგმარებისა და ურბანული პოლიტიკის განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1
7	ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის ქალაქგეგმარებისა და ურბანული პოლიტიკის განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1
8	ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის ქალაქგეგმარებისა და ურბანული პოლიტიკის განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1

9	ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის საპროექტო და სამშენებლო ნებართვების განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1
10	ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის საპროექტო და სამშენებლო ნებართვების განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1

2. გამოცხადდეს შიდა კონკურსი ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის პროფესიულ საჯარო მოხელეთა შემდეგ ვაკანტურ თანამდებობებზე:

№	**საკონკურსო თანამდებობა**	**რაოდენობა**
1	ადმინისტრაციის სასამართლოსთან ურთიერთობის და ადმინისტრაციული დავების განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - იურისტი	1
2	საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის საბიუჯეტო განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1
3	მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის საკუთრების აღიარების განყოფილების უფროსი	1

3. გამოცხადდეს დახურული კონკურსი ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის პროფესიულ საჯარო მოხელეთა შემდეგ ვაკანტურ თანამდებობაზე:

№	**საკონკურსო თანამდებობა**	**რაოდენობა**
1	განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის განათლებისა და ახალგაზრდობის განყოფილების მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1

4. დაევალოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოსამსახურეთა საკონკურსო კომისიას უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება, კონკურსის გამოცხადება და ჩატარება.

5. წინამდებარე ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

არჩილ ჩიქოვანი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი